ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 307

ქალაქი ქუთაისი 31 ივლისი 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირის №22ა-ში), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 9 ივლისის №5/38729 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 24 ივლისის №44-4424206290 წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირის №22ა-ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1 (საკადასტრო კოდის №03.01.22.737; მიწის ფართობი: 4099.00 კვ.მ.), შემდგომში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის უვადო სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების გადაცემის მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო • ამიერკავკასიის ეროვნული

საქართველო

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მას. № 148
"1" 08 2024 წ.